



10 წინაპირობა საქართველოში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად

1. საგანგებო მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუქმება;
2. მედიის თავისუფლების აღდგენა და გარანტირება;
3. შეკრების თავისუფლების აღდგენა და გარანტირება;
4. არჩევნებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დაზუსტება შეძლებისდაგვარად სწრაფად ყველა საარჩევნო სუბიექტს შორის კონსენსუსის საფუძველზე და შესაბამისი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით;
5. არჩევნების ადმინისტრირება ყველა დონეზე მიუკერძოებლად და პროფესიონალურად;
6. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გამორიცხვა რომელიმე კანდიდატის ან პლებისციტში რომელიმე შესაძლო ვარიანტის მხარდასაჭერად;
7. ყველა ღონისძიების გატარება ამომრჩეველთა სიების მაქსიმალურად დასახვეწად, რაც გულისხმობს სიების შეძლებისდაგვარად სწრაფად გამოქვეყნებას, რათა ამომრჩევლებმა შეძლონ საკუთარი თავის გადამოწმება და სიებში საჭირო ცვლილებების შეტანა;
8. ყველა ამომრჩევლის უზრუნველყოფა დროული და ადეკვატური ინფორმაციით, საარჩევნო უბნების ზუსტი მისამართების ჩათვლით, რათა მათ შეძლონ ხმის მიცემის უფლების განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისთვის;
9. ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ საკუთარი საარჩევნო ფონდის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მოიცავს ინფორმაციის მიწოდებას, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციისთვის, ისე საზოგადოებისთვის;
10. საარჩევნო უბნის ოქმების გამოკვრა ყველა საარჩევნო უბანზე ხმების დათვლის პროცედურის დასრულებისთანავე. ცესკო-ს მიერ არჩევნების შედეგების უბნების მიხედვით გამოქვეყნება არჩევნების დამთავრებიდან 48 საათის განმავლობაში.

ხელს აწერენ:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

თარიღი:

2007 წლის 12 ნოემბერი